საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/277

ქ. ბათუმი 30 **ნოემბერი, 2022 წ**

2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პან-ევროპის უნივერსიტეტში (სლოვაკეთი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტის და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის გიორგი თავამაიშვილის **2022 წლის 28 ნოემბრის** MES 5 22 0001510504 სამსახურებრივი ბარათის **საფუძველზე**

ვბრძანებ:

1. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პან-ევროპის უნივერსიტეტში (სლოვაკეთი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე სამართლის, ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის მიმართულებით ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები**:

ა) საბუთების ატვირთვა ელექტრონულ ბმულზე: **http://registration.bsu.ge** და სტუდენტურ პორტალზე **2022 წლის 30 ნოემბრიდან – 6 დეკემბრის ჩათვლით 18:00 საათამდე** (რექტორის სახელზე წარმოდგენილ განცხადებაში უნდა მიუთითოს ელ. ფოსტა და ტელეფონი) სტუდენტებისთვის, რომლებმაც უნდა გაიარონ ტესტირება უცხო ენაში (ინგლისური), სავალდებულოა განცხადებაში აღნიშნულის შესახებ მითითება;

ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2022 წლის 7 დეკემბერი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);

გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) - **2022 წლის 8 დეკემბერი** (იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც 2022 წლის 11, 25, 30 ნოემბერს წარმატებით გაიარეს ტესტირება უცხო ენაში, მონაწილეობა არ არის სავალდებულო. სტუდენტებს, რომლებსაც არ მიუღია მონაწილეობა უცხო ენის ტესტირებაში, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გაიარონ ტესტირება 2022 წლის 8 დეკემბერს);

დ) გასაუბრება კომისიასთან - **2022 წლის 9 დეკემბერი**;

ე) საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - **2022 წლის 9 დეკემბერი.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული ვროცლავისა და მუგლას უნივერსიტეტში კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ბსუ-ს ერაზმუს+ კოორდინატორი;

ზ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

თ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით" და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**